სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

რექტორის 2015 წლის

18 მარტის №46 /01-01 ბრძანებით

დანართი 1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილობრივ უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ნაწილობრივ გავლასთან დაკავშირებული საქმისწარმოების წესი

მუხლი 1. წესის მიზანი

ეს წესი აწესრიგებს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) სტუდენტის მიერ მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ნაწილობრივ გავლასთან დაკავშირებულ აუცილებელ საქმისწარმოებას.

მუხლი 2. საქმისწარმოების ხელმძღვანელობა და მონიტორინგი

უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილობრივ უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ნაწილობრივ გავლასთან დაკავშირებულ აუცილებელ საქმისწარმოებას ხელმძღვანელობს და მონიტორინგს უწევს შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მუხლი 3. მოთხოვნები დოქტორანტისადმი

უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილობრივ უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ნაწილობრივ

გავლასთან დაკავშირებულ აუცილებელ საქმისწარმოებისთვის დოქტორანტი უზრუნველყოფს:
ა) სადისერტაციო თემის უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაინტერესებას და შესაბამისი თანხმობის ოფიციალური წესით მოპოვებას.

ბ) უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საერთაშორისო მობილობის განხორციელებასა და სადისერტაციო თემის სამეცნიერო ხელმძღვანელის მოძიებას.
გ) უნივერსიტეტის პროფილურ ფაკულტეტზე უცხო ქვეყნის უნივერსიტეტის თანხმობისა და თანამშრომლობის პირობების წარმოდგენას, რაც გამოხატული იქნება შემოთავაზებული ხელშეკრულებით.

მუხლი 4. ხელშეკრულების პირობების განხილვა

1. დოქტორანტის მიერ ამ წესის მე-3 მუხლის ,,ა" და ,,გ" ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე ფაკულტეტის ხარიხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარესთან, სტუდენტის სამეცნიერო და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით განიხილავს ხელშეკრულების პირობებს და ერთი კვირის ვადაში ამზადებს დასკვნას.
2. ფაკულტეტის ხარიხის უზრუნველყოფის სამსახური უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში ახდენს უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინფორმირებას.
3. ფაკულტეტის ხარიხის უზრუნველყოფის სამსახური დადებითი დასკვნის შემთხვევაში შესაბამისი შენიშვნებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), უზრუნველყოფს უნივერსიტეტის პროფილურ სტრუქტურულ ერთეულებში (იურიდიული დეპარტამენტი, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, საფინანსო დეპარტამენტი, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი) ხელშეკრულების პროექტის გადაგზავნას შესაბამისი დეპარტამენტების კომპენტენციის ფარგლებში დასკვნის მისაღებად.

4. უნივერსიტეტის პროფილური სტრუქტურული ერთეულები ხელშეკრულების პროექტზე შესაბამის დასკვნას ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარუდგენენ მისი მიღებიდან არაუგვიანეს ერთი კვირის ვადაში.

6. შემოთავაზებული ხელშეკრულების პროქტის კორექტირებულ ვარიანტს (შენიშვნების გათვალისწინებით) ფაკულტეტის ხარიხის უზრუნველყოფის სამსახური შენიშვნების მიღებიდან არაუგვიანეს 1 კვირის ვადაში შესათანხმებლად უგზავნის უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

მუხლი 5. ხელშეკრულების გაფორმების ტექნიკური პროცედურები

წარმოდგენილ ხელშეკრულების პროექტზე უნივერსიტეტის მხრიდან შენიშვნების არარსებობის ან/და არსებული შენიშვნების უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გათვალისწინების შემდეგ, უნივერსიტეტის მხრიდან ხელშეკრულებას ხელი ეწერება რექტორის, ფაკულტეტის დეკანის, საგანმანათელბლო პროგრამის ხელმძღვანელისა და სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ არანაკლებ 3 ეგზემპლარად და ფაკულტეტის მიერ ეგზავნება შესაბამის უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას საბოლოო ხელმოწერისთვის.